ხელშეკრულება № 109
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. წყალტუბო 27 ივნისი 2013 წელი

ერთი მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის ნოდარი კაპანაძის სახით და მეორე მხრივ, შპს "არქიტექტი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი იაკობ ჭიღლაძის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „დ" ქვეპუქტის, "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის მეორე პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 მაისის №466 განკარგულების შესაბამისად, სოფლის მხარდამჭერის პროგრამის ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ'' (შემდგომ – ,,ხელშეკრულება'') – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 ,,შემსყიდველი ორგანიზაცია'' (შემდგომ ,,შემსყიდველი'') ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 ,,მიმწოდებელი'' ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს სამუშაოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.4 ,,ხელშეკრულების ღირებულება'' ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 ,,დღე'', ,,კვირა'', ,,თვე'' ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შიდასასოფლო გზების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (დანართი 1);

2.2 კლასიფიკატორის კოდი: (71300000);

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 3103 (სამიათასასსამი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის ან მისი ნაწილის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

6. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება: ქ. წყალტუბო, შანიძის ქ. №1
6.2. მომსახურების მიწოდება – 2013 წლის 15 ივლისის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მოსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მოსახურება სათანადო ხარისხით.
7.5. მიმწოდებელი ვალდებულია საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მოამზადოს ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ყოველ შემთხვევაზე, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შეუსრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
10.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ
10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლო სსაქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს ვალდებულებების შესრულებამდე.

მხარეთა იურიდიული მისამართები

შემსყიდველი:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი საკრებულო
მის: ქ. წყალტუბო, შანიძის ქ.№1
ს/ს „ლიბერთი ბანკის" წყალტუბოს ფილიალი
ბ/კოდი: LBRTGE22
ა/ა №GE25LB0120123490525000
ს/კოდი: 221274546

საკრებულოს თავმჯდომარე

ნოდარი კაპანაძე

ბ. ა.

მიმწოდებელი:

შპს "არქიტექტი"
მის: ქ. ქუთაისი, ივ. ჯავახიშვილის I შეს, 22, ბ120
სს "თიბისი ბანკი" ქუთაისის ფილიალი
ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა № GE19TB7020236080100003
ს/კოდი: 412686669
ტელ: 551747406

დირექტორი

იაკობ ჭილაძე

ბ. ა.

	ტერიტორიული ორგანო	სოფელი	პროექტების დასახელება	პროექტი
1	დღნორისა	დღნორისა	მისასვლელი გზის მოხვნა მოხრეშვა	84
2		საჩხეური	მისასვლელი გზის მოხვნა მოხრეშვა	75
3		ლეხინდრისთავი	მისასვლელი გზის მოხვნა მოხრეშვა	55
4		ჭაშლეთი	მისასვლელი გზის მოხვნა მოხრეშვა	54
5	მექვენა	ზენთქოულა	მისასვლელი გზის შეკეთება	24
6		ქვედა ონჭეიში	ბონდის ხიდის შეკეთება	23
7		ზედა ონჭეიში	შიდა გზის შეკეთება	11
8	ოფურჩხეთი	გუმათი	ავალიანების უბანში სოფლის გზის მოხრეშვა და ღვარსაწრეტი მილების შეძენა	50
9		ჟონეთი	ზემო ჟონეთში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოხრეშვა და ბეტონის ღვარსადენის მოწყობა	79
10	რიონი	რიონი	უბნის სასაფლაოსთან მისასვლელ გზაზე წებოვანი ხრეშის დაყრა	11
11		ჭოლევი	გზის გაუვალი მონაკვეთების შეკეთება წებოვანი ხრეშით	61
12	ქვიტირი	ქვიტირი	შიდა სასოფლო გზების შეკეთება მოსწორება	50
13		ზედა მესხეთი	მელაძეების უბანში რკინიგზის აღმოსავლეთით მდება ქუჩის შეკეთება და ღვარსადენის გაყვანა	20
14	მაღლაკი	მაღლაკი	ჟორჟოლიანების უბნის შიდა სასოფლო გზის მოხვნა მოხრეშვა	170
15		მაღლაკი	იმერეთის საყრდენ პუნქტში 300 მეტრი სადრენაჟე არხის გაწმენდა	20
16		მაღლაკი	მდინარე წყალტუბოს წყალზე გასასვლელი ფონის გაკეთება	20
17	მუხიანი	უკანეთი	სოფელ უკანეთში შიდა გზების მოწესრიგება რუსაძეებისა და დაბლა გვანცელაძეების უბანში	91
18	გეგუთი	გეგუთი	წმ. გიორგის ქუჩაზე (ე.წ. ბეტონის გზაზე) უსაფრთხოების ბორცვების მოწყობა	20
19	პატრიკეთი	პატრიკეთი	სოფლის შიდასაუბნო გზის შეკეთება	134
20		ტყაჩირი	სოფლის შიდასაუბნო გზის შეკეთება	125
21	გუმბრა	გუმბრა	შიდასასოფლო გზების მოხრეშვა	97
22		ბანოჯა	შიდა სასოფლო გზების შეკეთება	103
23		ხომული	შიდა სასოფლო გზების შეკეთება დუქნისწყაროს, ვერგძელას და ზედა ხომულის უბნებში	274
24	გვიშტიბი	გვიშტიბი	ძმათა სასაფლაოზე მისასვლელი გზის მოხრეშვა	122
25		გვიშტიბი	სოფელ გვიშტიბის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის შეკეთება და სანიაღვრეეს მოწყობა	100
26		გვიშტიბი	ბაქრაძეების უბანში გზის მოხრეშვა	20
27		თერნალი	ახალ სასაფლაოსთან მისასვლელი გზის შეკეთება და სანიაღვრეების მოწყობა	40
28	ცხუნკური	ცხუნკური	სასოფლო გზების შეკეთება ღორღით ქვედა ცხუნკურში ჩირგაძეების, მესხების და დანგაძეების უბანში	90
29		ცხუნკური	მესხების უბანში ბოგირის შეკეთება	31
30		ყუმისთავი	სოფლის ასფალტირებული გზის ორმოული შეკეთება	151
31		ჩუნეში	სასოფლო გზის შეკეთება ჯაველიძეების უბანში	80

32	სოფელი წყალტუბო	სოფელი წყალტუბო	სოფელი მეორე უბანში ე.წ "გორისთავი"-ს აღმართში მოეწყოს 200 მეტრი ბეტონის გზა	200
33		სოფელი წყალტუბო	შიდასაუბნო გზების შეკეთება მაჭარაშვილებისა და ფუტკარაძეების უბანში, ლორთქიფანიძისა და ასათიანის ქუჩების შესახვევში 18 მეტრი დ300მმ მილით ღვარსაწრეტების და 300 მეტრი გზისპირა არხის მოწყობა	233
34		ქვილიშორი	ზემო ქვილიშორში ე.წ. "ახალაძეების" აღმართში 200 მეტრი ბეტონის გზის საფარის მოწყობა და დაზიანებული გზის მონაკვეთების შესაკეთება	170
35		ქვილიშორი	ქვემო ქვილიშორში ე.წ. "იოსელიანის" აღმართის გზის გასწვრივ 300 მეტრი ღვარსადენის მოწყობა	30
36		ჩუნეში	სოფელ ჩუნეშში შიდა სასოფლო გზების შეკეთება ე.წ. "კირის წყლის" ღელეზე ბოგირის მოწყობით	185
				3103

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი საკრებულო

საკრებულოს თავმჯდომარე

ნოდარი კაპანაძე

ბ. ა.

შპს "არქიტექტი"

დირექტორი

იაკობ ჭიღლაძე

ბ. ა.